საექსპერტო შეფასება

ანგარიშზე: "ქ. თბილისში, დემეტრე თავდადებულის ქ. № 56-ში (ს/კ 01.10.07.007.065) მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის სამშენებლო მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობები"

შპს „ელენ ჰაუსი-ს ხელმძღვანელობის თხოვნით, ჩვენს მიერ 2019 წლის თებერვალში შემოწმებული იქნა ქ. თბილისში, დემეტრე თავდადებულის ქ. № 56-ში (ს/კ 01.10.07.007.065) მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობისათვის გამოყოფილ ნაკვეთზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს ქ. თბილისში, დემეტრე თავდადებულის ქ. № 56-ში (ს/კ 01.10.07.007.065) მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობისათვის გამოყოფილ ნაკვეთზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოებისა და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია ი/მ „ბესიკი დევდარიანი"-ს მიერ 2019 წლის თებერვალში. სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელი ინჟ.გეოლოგი ბ.დევდარიანი. შეკავშირებული გრუნტების კვლევები შესრულებულია სტუ „გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების" მიმართულების ლაბორატორიაში, ხოლო ნახევრად კლდოვანი ქანების ტესტები სსიპ გ.წულუკიძის სამთო ინსტიტუტის ქანების,საშენი მასალების თვისებების და ხარისხის კონტროლის განყოფილების საგამოცდო ლაბორატორიაში ინჟ. გეოლოგ გ. ბალიაშვილის მიერ.

საექსპერტოდ წარმოდგენილია:

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი, აკრეფილი კომპიუტერზე ..... 18 გვ;
2. ტექნიკური დავალება ..... 1 გვ;
3. კვლევის პროგრამა..... 1 გვ;
4. გრუნტების ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგების ცხრილი ..... 3 გვ;
5. კლდოვანი ქანების გამოცდების ცხრილები..... 3 გვ;
6. გრუნტის ძვრაზე გამოცდის შედეგები ..... 6 გვ;
7. სამთო გამონამუშევრების ლითოლოგიური სვეტები..... 5 ფურც;
8. მოედნის გეოლოგიური ჭრილი..... 2 ფურც;
9. ფოტომასალა ..... 3 ფურც;
10. მოედნის ტოპოგეგმა ..... 1 ფურც.

პროექტით, საკვლევ მოედანზე, უნდა აშენდეს 12 სართულიანი, მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსი, ერთი დონე სარდაფით. შენობა გადაწყვეტილია რკინაბეტონის კარკასში, შევსება იქნება აგურის, ან ბეტონის წვრილი ბლოკებით. რაც შეეხება საძირკვლის ტიპს, ის გადაწყდება მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შემდეგ.

მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების დასადგენად საკვლევ მოედანზე გაიბურღა 5 ჭაბურღილი, თითოეული 8,0-12,0მ-მდე სიღრმით. სამუშაოების საერთო მოცულობა 50,0 გრძ.მ. ჭაბურღილებიდან ამოღებული იქნა სამშენებლო მოედნის ამგები შეკავშირებული გრუნტებიდან 6 და ნახევრად კლდოვანი ქანებიდან 12 ნიმუში.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის შედეგად მოედანზე გეოლოგიურ ჭრილში გამოყოფილი იქნა გრუნტის შემდეგი ფენები:

1. ფენა 1 –ნაყარი, თიხნარი, ხვინჭა, ხრეში, ქვისა და სხვადასხვა ნარჩენები;
2. ფენა 2 - თიხა ყავისფერი, მოყვითალო, ტენიანი, ფოროვანი, მტვეროვანი, ძნელადპლასტიკური, ხვიჭის და ხრეშის ჩანართებით;
3. ფენა 3 - ქვიშაქვები და სუბარგილითები თხელშრეებრივი, გამოფიტული;
4. ფენა 4 - ქვიშაქვები და სუბარგილითები თხელშრეებრივი, სუსტად გამოფიტული.

ანგარიშში მოკლედაა მოცემული საკვლევი ტერიტორიის გეომორფოლოგიური, გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობები. მოცემულია ზემოაღნიშნული ქანების საინჟინრო-გეოლოგიური დახასიათება, მათი ნორმატიული და საანგარიშო მაჩვენებლები.

მოედნის ჰიდროგეოლოგიური პირობებიდან აღნიშნულია, რომ უბანზე, გამოკვლეულ დონემდე გრუნტის წყლის არსებობა არ დაფიქსირებულა.

საინჟინრო გეოლოგიური თვალსაზრისით, გამოკვლეული უბანი დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია, ვინაიდან ადგილზე არახელსაყრელი ფიზიკურ-გეოლოგიური მოვლენები (მეწყერი, კარსტი, ჩაქცევა და სხვა) არ არის განვითარებული. სეისმური თვალსაზრისით უბანი გაწეკუთვნება 8 ბალიან სეისმური დარაიონების ზონას. ჩატარებული საველე და ლაბორატორიული კვლევების ანალიზის საფუძველზე ავტორი იძლევა წინადადებას შენობის ფუძე-გრუნტისა და საძირკვლის შერჩევის თაობაზე.

დასკვნა

ქ. თბილისში, დემეტრე თავდადებულის ქ. № 56-ში (ს/კ 01.10.07.007.065) მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობისათვის გამოყოფილ ნაკვეთზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები აკმაყოფილებს

საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმების მოთხოვნებს. ჩვენს მიერ გამოთქმული ცალკეული შენიშვნები ჩატარებული სამუშაოების მიმართ, ავტორის მიერ მიღებული იქნა მხედველობაში და ანგარიშში შეტანილია სათანადო კორექტივები. დასასრულს ავღნიშნავთ რომ, წარმოდგენილი ანგარიში იმსახურებს დადებით შეფასებას. იგი შეიძლება საფუძვლად დაედოს მშენებლობის პროექტს საინჟინრო-გეოლოგიურ ნაწილში.

საქართველოს დამსახურებული მშენებლი,
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
ინჟინერ-გეოლოგი, პროფესორი გ. ჭოხონელიძე